დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დადგენილება #13, 22/04/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ეთიკის კოდექსი

თბილისი
2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ქცევის ეთიკურ ნორმებსა და მათ დარღვევასთან დაკავშირებულ შედეგებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა (შემდგომში-,,პერსონალი“) და აგრეთვე სტუდენტების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საფეხურზე, ერთსაფეხურიან და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირები) ქცევის ეთიკურ ნორმებს.

1.2. წინამდებარე კოდექსი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

1.3. უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან პატივი სცენ უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და დაიცვან მისი ღირებულებები.

1.4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტით და უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს აღნიშნული საკითხი და საჭიროებისამებრ დაიწყოს დისციპლინური წარმოება.

მუხლი 2. პერსონალი

2.1. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია განახორციელოს მისი საქმიანობა წინამდებარე კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

2.2. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია:

2.2.1. სასწავლო პროცესი წარმართოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის დებულებების შესაბამისად;

2.2.2. სალექციო თემატიკა, სტრუქტურა და სწავლების მეთოდოლოგია განაახლოს პერიოდულად.

2.2.3. სალექციო პროცესი დაიწყოს დროულად, არ უნდა დაუშვას სალექციო პროცესის დროზე ადრე დამთავრება, აგრეთვე საპატიო მიზეზის გარეშე მისი გაცდენა;

2.2.4. სტუდენტები შეაფასოს ობიექტურად, უზრუნველყოს შეფასების გამჭვირვალობა, არ დაუშვას სტუდენტთა დისკრიმინაცია და მათთან ურთიერთობაში დაიცვას აკადემიური ქცევის საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები.

2.2.5. პატივი სცეს კოლეგებს. კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული. დაუშვებელია კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება;

2.2.6. უნივერსიტეტის სახელით პრესასთან ან მასმედიის სხვა საშუალებებთან ოფიციალური განცხადები გააკეთოს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით.

2.3. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის პროცესში დაიცვას აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპები.

2.4. უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში, სამუშაო დროს და მის გარეთ პერსონალი ვალდებულია გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის სახელსა და საქმიან რეპუტაციას;

2.5. უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, პერსონალი ვალდებულია უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირს გადასცეს უნივერსიტეტთან დაკავშირებული ყველა იმ საინფორმაციო პლატფორმის (სოციალური ქსელი, მონაცემთა ბაზა, კორპორატიული ელ.ფოსტა და ა.შ) მომხმარებლის სახელი, პაროლი/გასაღები და სხვა, რომელზეც მას ჰქონდა წვდომა უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში.

მუხლი 3. სტუდენტი

3.1. სტუდენტი ვალდებულია:

3.1.1. პატივი სცეს უნივერსიტეტის სახელსა და საქმიან რეპუტაციას, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

3.1.2. დაიცვას ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებისა და უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები;

3.1.3. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები (მათ შორის ბიბლიოთეკა და საინფორმაციო რესურსები) გამოიყენოს მართლზომიერად, საგანმანათლებლო მიზნებისათვის;

3.1.4. უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად, დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები აკადემიური ნაშრომის მომზადებისას.

3.1.5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, გადასცეს უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირს უნივერსიტეტთან დაკავშირებული ყველა იმ საინფორმაციო პლატფორმის (სოციალური ქსელი, სტუდენტური ელ.ფოსტა და ა.შ) მომხმარებლის სახელი, პაროლი/გასაღები და სხვა, რომელზეც მას ჰქონდა წვდომა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.

მუხლი 4. პლაგიატი

4.1. აკადემიური კეთილსინდისიერების მიზნებისთვის, როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტი ვალდებულია არ გამოიყენოს, არ მიითვისოს და არ გაავრცელოს სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგი, იდეა, ტექსტი, კონცეფცია, კვლევის შედეგები, ასევე ნებისმიერი სახის მონაცემები და მასალები წყაროს მითითების გარეშე (პლაგიატი).

4.2. პლაგიატი არის :

4.2.1. სხვისი სიტყვების, იდეების ან მონაცემების გამოყენება საკუთარი სახელით, ციტირების და წყაროს მითითების გარეშე,

4.2.2. პერიფრაზირებული იდეების, მოსაზრებების ან თეორიის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე,

4.2.3. სხვისი ინტელექტუალური საკუთრების, შესრულებული ნაშრომის ან ნაშრომის ნაწილის მითვისება.

4.3. პლაგიატის ძირითადი სახეებია:

4.3.1. პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ნაშრომიდან ან წყაროდან სიტყვასიტყვით გადმოწერა ციტირების ან სხვა ტიპის მითითების გარეშე.

4.3.2. თვითპლაგიატი - საკუთარი, უკვე გამოყენებული მოსაზრებების, ნაშრომის ან ნაშრომის ნაწილის გამეორება მითითების გარეშე.

4.3.3. მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების გაერთიანება ან/და პერიფრაზირება ახალი ტექსტის მისაღებად, როდესაც არ ხდება ცალკეული ავტორების მითითება და ციტირება.
4.3.4. შემთხვევითი პლაგიატი - კვლევის საწყის ეტაპზე დაუდევრობით ციტირების და წყაროს მითითების გარეშე სხვისი მოსაზრებების ან/და ტექსტის გამოყენება, თუნდაც პერიფრაზირებული ფორმით.
4.3.5. კომპილაცია - რაც გულისხმობს საკუთარი დამუშავებისა და ინტერპრეტაციის გარეშე საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების/ნაშრომების გამოყენებას და დაჯგუფებას;
4.3.6. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.

მუხლი 5. პლაგიატის თავიდან არიდება

5.1. პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით ნაშრომის შემუშავებისას:
5.1.1. უნდა მიეთითოს გამოყენებული ინფორმაციის ზუსტი წყარო,
5.1.2. უნდა აღინიშნოს იმ ადამიან(ებ)ის დამსახურება, ვისი დახმარებითაც მოხდა წერილობითი ნაშრომის შესრულება,
5.1.3. გამოყენებული ციტატები უნდა ჩაისვას ბრჭყალებში შეუცვლელად, წყაროს ზუსტი დასახელებით,
5.1.4. არ უნდა იქნას გამოყენებული ინტერნეტში განთავსებული მასალები წყაროს მითითების გარეშე,
5.1.5. ავტორის იდეების პერიფრაზი საჭიროა ჩამოყალიბდეს ორიგინალისგან ენობრივად განსხვავებულად, თუმცა არ უნდა შეიცვალოს ძირითადი აზრი,
5.1.6. საჭიროა საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული, მასალის ციტირება,
5.1.7. უნდა მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის ყველა წყარო სრულად და ზუსტად,
5.1.8. აუცილებელია მასალა შემოწმდეს პლაგიატის არიდების პროგრამის მეშვეობით.

მუხლი 6. პლაგიატის პრევენცია

6.1. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი ატარებს ერთიან პოლიტიკას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობადობის გასაზრდელად.
6.2. პლაგიატის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სავალდებულო სასწავლო კურსის სახით ისწავლება აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები.
6.3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომები (შემდგომში „ნაშრომი“) მოწმდება პლაგიატის არიდების სპეციალური პროგრამის მეშვეობით.
6.4. პლაგიატის/მსგავსობის დადგენის შესახებ დასკვნას წერს შესაბამისი ნაშრომის/დისერტაციის ხელმძღვანელი.
6.5. პლაგიატის დადგენის შემთხვევაში ნაშრომი/დისერტაცია არ დაიშვება დაცვაზე.
6.6. უნივერსიტეტი ახორციელებს საგამოცდო პროცესების მონიტორინგს პლაგიატის და ეთიკის ნორმების დარღვევის აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ქმედებები, რომლებიც შესაძლოა გახდეს პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, აგრეთვე შესატყვისი დისციპლინური ზომები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა გაწერილია „პერსონალის მართვის პოლიტიკით“ , „სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესით“ და უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული აქტებით.

7.2. აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის დროს წინამდებარე დებულების მე-4 მუხლით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში:

7.2.1. დარღვევის ფაქტის შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც სკოლის დეკანთან და ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერთან ერთად განიხილავს დარღვევის ფაქტს, ხოლო დარღვევის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული ეცნობება პრორექტორს სასწავლო დარგში და პრორექტორს ხარისხის დარგში, რომლებიც მიმართავენ უნივერსიტეტის რექტორს დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით, შესაბამისი კომისიის შექმნის თაობაზე, რომლის შემადგენლობაში რექტორის მიერ განსაზღვრულ პირებთან ერთად უნდა შედიოდნენ დარგის სპეციალისტები როგორც უნივერსიტეტის პერსონალიდან (ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით), ისე მოწვეული პირები.

7.2.2. წინამდებარე მუხლის 7.2.1. პუნქტით განსაზღვრული კომისია ვალდებულია ჩაატაროს სრული და ამომწურავი მოკვლევა დაფიქსირებული დარღვევის ფაქტზე. ამასთან, კომისიის მუშაობა, პლაგიატის ფაქტის დადასტურებამდე, უნდა იყოს კონფიდენციალური. კომისიის მიერ დარღვევის ფაქტის დადასტურების თაობაზე შესაბამისი დასკვნის მიღების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე ეცნობება დამრღვევ პირს, რომელსაც უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას საპასუხო მოსაზრება კომისიის წინაშე.

7.2.3. დარღვევის ფაქტის დადასტურებისას, საკითხი განსახილველად გადაეცემა სკოლის საბჭოს, რომელიც საქმის გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა პირის მოსაზრების მოსმენის შემდეგ, წყვეტს დამრღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხს.

7.2.3.1. სტუდენტისათვის დისციპლინური სახდელის სახით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლის საბჭოს დასკვნის საფუძველზე, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ბრძანებას.

7.3. ქმედებები, რომლებიც შესაძლოა გახდეს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, აგრეთვე შესატყვისი დისციპლინური ზომები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა გაწერილია გაწერილია ,,სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესში“.

7.4. სტუდენტის მიერ კვლევითი საქმიანობის დროს წინამდებარე დებულების მე-4 მუხლით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტების მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი სანქციები:

7.4.1. გაფრთხილება;

7.4.2. ნაშრომის/საგამოცდო დავალების განმეორებით შესრულება;

7.4.3. შესაბამისი სასწავლო კომპონენტისთვის გათვალისწინებული ქულის განულება/დაკლება;

7.4.4. სასწავლო კურსში უარყოფითი შეფასება (F);

7.4.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი სემესტრით;

7.4.6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

7.4.7. მოპოვებული ხარისხის ჩამორთმევა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე კოდექსით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ნორმატიული დოკუმენდებით დადგენილი წესით.

8.2. წინამდებარე წესი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

8.3.მოცემულ წესში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება უნდა დამტკიცდეს მმართველი საბჭოს მიერ.